პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ამოცემის 38-ე წელი № 252 (10338) | კვირა, 23 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

ხო ში მინის დეპეშა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **დ. კაკაბაძე.** — შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

თ. ცხვედიანი. — გამოფენა „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში" (მე-2 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება (მე-3 გვერდი).

ა. შახანოვი. — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიელი ჟურნალისტები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი წარმატებებით შეეხვდეთ დიად დღესასწაულს

ახლოვდება საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საყოველთაო-სახალხო ეთმის დღე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი. ამ ბრწყინვალე დღესასწაულისათვის მზადების პერიოდი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნება.

სახელოვანმა საბჭოთა ხალხმა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და მრავალგზის ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას, საფუძველი დაუყარა ახალ სოციალისტურ წყობილებას. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა უდიდესი მიღწევები მოიპოვეს კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა სახელმწიფომ ყველა განაცდელს გაუძლო. უცხოელმა ინტერვენტებმა ვერც სამოქალაქო ომის წლებში, ვერც ჰიტლერელთა ურდოების შემოსევის პერიოდში ვერ შეძლეს დაერღვიათ ჩვენი ხალხის ერთიანობა და გაეტეხათ ჩვენი ადამიანების ფოლადისებრი ნებისყოფა. სალ კლდესავით მტკიცე, მზესავით მანათობელი ამაყად დგას ჩვენი სოციალისტური ქვეყანა, როგორც ჩაგრულთა ხსნის ამბავი, ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის მაგალითი. ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკა ყოველთვის ემსახურებოდა და ემსახურება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, იგი ხელს უწყობდა და უწყობს საყოველთაო შეიარაღების განმტკიცებას. ჩვენი ქვეყნის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკამ კიდევ უფრო მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებით. მთელი პროგრესული კაცობრიობა ხედავს, თუ რამდენად თანმიმდევრულად ცდილობს საბჭოთა კავშირი საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს, რამდენად ენერგიულად იბრძვის იგი ხალხთა შორის ურთიერთ ნდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის მზადების დღეებში საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი შრომის ახალი აღმავლობით, პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით გამოხატავენ საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების მხურვალე მისწრაფებას.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით დამკვიდრა ბედნიერი და საამური ცხოვრება. მაგრამ საბჭოთა ხალხს არ სჩვევია მოპოვებულით დაკმაყოფილება, იგი თავდადებულად იბრძვის ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდეს წარმატებას აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. რესპუბლიკის ენერგომშენებლებმა მიმდინარე წელს მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ახალი დიდი ობიექტის — შაორჰესის ამუშავებით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ახალი დანადგარებით აღიჭურვა რესპუბლიკის სიამაყე — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც ამუშავდა მეორე ბრძმედი, სააგლომერაციო ფაბრიკა, გაფართოვდა აზოტ-ტუკის ქარხანა, დაიწყო ქალაქის გაშენება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან ჭიათურელი მაღაროელები, ტყიბულელი მეშახტეები, თბილისელი ჩარხშენებლები და რესპუბლიკის მრავალი სხვა საწარმოს მუშა-მოსამსახურეები. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულეს ხუთწლედის დავალებები.

სასიხარულო ცხოვრები მოდის რედაქციაში საკოლმეურნეო სოფლებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან — იუწყებიან მოსავლიანობის და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. მიმდინარე წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (სიმინდის გარდა) სახელმწიფო გეგმა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალება. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მექანიზატორები ნაყოფიერად მუშაობენ იმისათვის, რომ უდანაკარგოდ აიღონ მიმდინარე წლის მოსავალი, საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს, მიაღწიონ მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ჯერ კიდევ ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობას და მთლიანად გამართულად ვერ მუშაობს, კარგად ვერ გამოიყენრება თბილისის კერამიკული კომბინატი, მეტი ორგანიზებულობა და ბეჯითი შრომა მოეთხოვებათ ტყვარჩელის მეშახტეებს.

ახლა საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი დღეებია. მაგრამ ხაშურის, თეთრი წყაროს, ბოლნისის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სიღნაღის, მარნეულის, თელავის, თიანეთის და დუშეთის რაიონები არ ჩქარობენ, თესვაში ჩამორჩებიან. საჭიროა სოფლად და ქალაქად მნიშვნელოვნად დაჩქარდეს ზამთრისათვის მზადების ტემპი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის აღსანიშნავად და პარტიის XX ყრილობის შესახვედრად. პარტიული ორგანიზაციების სანრძოლო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მათს პატრიოტულ შემოქმედებითს მუშაობას, დარაზმონ და წაიყვანონ ისინი კომუნიზმის დიად გამარჯვებათა გზით.

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, ახალი გამარჯვება მოიპოვონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამრავლონ წარმატებები და თვალსაჩინო მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს.

სსრ კავშირის დიდ თეატრში

21 ოქტომბრის საღამო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა სსრ კავშირის დიდ თეატრში გაატარეს. მათ ნახეს ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა".

ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ უ ნუ და მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი.

სტუმრებთან ერთად სპექტაკლზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი.

თეატრში იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სპექტაკლის დაწყების წინ შეასრულეს ბირმის კავშირისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დიდ თეატრში მყოფი მაყურებლები მჭუხარე ოვაციით მიესალმნენ ბირმის მთავრობის მეთაურსა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

სპექტაკლის შემდეგ უ ნუ, მისი მეუღლე და პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირები სცენაზე ავიდნენ. უ ნუმ აღტაცება გამოთქვა სპექტაკლით და მთავარი პარტიების შესანიშნავი შესრულებისათვის მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტს გ. ულანოვასა და რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ი. ჟდანოვს. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ

1955 წლის 22 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს ახლდნენ: ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი.

მიღების დროს გაიმართა კ. ე. ვოროშილოვის საუბარი პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

საუბარმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მიღებას დაესწრნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი.

ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 22 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად.

საუზმეზე ბირმის მხრივ იყვნენ: პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, აგრეთვე უ ხლა და უ ნვე.

საბჭოთა მხრივ საუზმეზე იყვნენ: ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, კ. პ. ლობანოვი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი ა. გ. ვედენინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და ბირმის პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად

22 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა დარბაზობა, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მოაწყო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვიდა კეთილი ნების ვიზიტით.

დარბაზობაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ და პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირები.

დარბაზობაზე იყვნენ კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, დ. ტ. შეპილოვი.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სტუმართა შორის იყვნენ საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში.

ნ. ა. ბულგანინმა და უ ნუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად

22 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ლ. მ. კაგანოვიჩმა და ვ. მ. მოლოტოვმა.

საუბარს დაესწრნენ: ბირმის მხრივ — ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი და ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება სხვადასხვა საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. (საკდესი).

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

22 ოქტომბერს კეთილი ნების ვიზიტით მოსკოვს მყოფმა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და მისმა მეუღლემ დო მია იმ, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში უ მონგ ონმა, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგმა, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დიდ ბრიტანეთში უ ჩინმა და მისმა მეუღლემ ქ-ნმა ჩინმა და პრემიერ-მინისტრთან მოსკოვს ჩამოსულმა სხვა პირებმა ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინებით შეამკეს.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი ა. გ. ვედენინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და ბირმის პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი

მის აღმაჯებულებას დუაიტ დ. ეიზენჰაუერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

გმადლობთ 12 ოქტომბრის წერილისათვის განიარაღების საკითხებზე. ველოდები მომენტს, როცა შეძლებთ ჩამოაყალიბოთ მთელი თქვენი მოსაზრებანი ამაზე, როგორც თქვენ აპირებთ ამის გაკეთებას. მახარებს, რომ თქვენ ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ამ საკითხებს. და არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, — ყოველივე, რის გაკეთებასაც ჩვენი ქვეყნების მთავრობები შეძლებენ, რათა შეაჩერონ გამალებული შეიარაღება და ამ მიზნით დაწესონ საჭირო კონტროლი, შეეფერება ხალხთა უმაღლეს ინტერესებსა და მისწრაფებას.

კმაყოფილებით აღვნიშნავ თქვენს კეთილსასურველ დამოკიდებულებას ჩვენი წინადადებებისადმი საკონტროლო პოსტების შესახებ, რომელთა მიზანია ერთი მხარის მეორე მხარეზე უეცარი თავდასხმის თავიდან აცილება. ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა განიარაღების პრობლემის გადაჭრაში წინსვლისათვის.

ჩვენ ყველანი მოსკოვში ველოდებით თქვენი ჯანმრთელობის უსწრაფესად აღდგენას.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი.

სოჭა, 1955 წლის 20 ოქტომბერი.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს,

საგჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საგჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ვიეტნამის ხალხისა და მთავრობის სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ საბჭოთა მთავრობას ტაიფუნით დაზარალებული ვიეტნამელი ხალხისადმი ყურადღებისათვის, აგრეთვე ვმადლობ საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას ტაიფუნით დაზარალებული მოსახლეობისადმი გაწეული დახმარებისათვის.

ხო ში მინი,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების მოწყობის შესახებ.

გადაწყდა პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები მოეწყოს 1955 წლის ოქტომბრიდან 1956 წლის აპრილამდე.

პროფკავშირთა ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები და საბჭოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგებისა და არჩევნების მომზადებისა და მსვლელობისადმი. არჩევნები უნდა მოეწყოს, როგორც მასობრივ-პოლიტიკური კამპანია, რომლის მიზანია მშრომელთა შემდგომი მობილიზაცია სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, პროფკავშირთა მთელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება, მათი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მუშაობის გაძლიერება, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პროფკავშირთა როლისა და პასუხისმგებლობის ყოველი ღონისძიებით გადიდება.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას პროფკავშირული დემოკრატიის ზუსტად დაცვა, პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ და გაბედულად გაჩაღების პირობების შექმნა. არის წინადადება, რომ პროფკავშირული ორგანოები განმტკიცდნენ წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის მცოდნე მომზადებული და გამოცდილი მუშაკებით, უფრო ფართოდ დაწინაურებულ იქნან პროფკავშირულ კომიტეტებში მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. (საკდესი).

ქალაქ მოსკოვის პროპაგანდისტთა და აგიტაციორთა კრება

20 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გაიმართა დედაქალაქის პროპაგანდისტთა და აგიტატორთა კრება. მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი" გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. დ. მ. კუკინმა.

ზესტაფონისა და საგარეჯოს რაიონებმა ყურძნის ჩაბარების გეგმები შეასრულეს

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 12.032 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.924 ტონისა.

* * *

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 19 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.465 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.450 ტონისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ტონა ყურძენი.

სილოსის ჩადების გეგმა შეასრულეს

მახარაძის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონების კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 12.032 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.924 ტონისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ტონა ყურძენი.

* * *

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 19 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.465 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.450 ტონისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ტონა ყურძენი.

სილოსის ჩადების გეგმა შეასრულეს

ხეობმა შეასრულეს პირუტყვისათვის სილოსის ჩადების წლიური გეგმები.

პარტიული ცხოვრება

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში

ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის განუხრელმა აღმავლობამ და მის ბაზაზე სოფლის მეურნეობის ზრდამ, რაც მიღწეულ იქნა მეხუთე ხუთწლედში, მტკიცე საფუძველი შექმნა საფეიერო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. განუწყვეტლივ ხდება საფეიერო მრეწველობის აღჭურვა ახალი ტექნიკით, მნიშვნელოვნად დიდდება შრომის ნაყოფიერება.

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხ ფაბრიკაში, რომელიც წლიურად 87.156 ათასი მანეთის ნაგრეხ აბრეშუმის ძაფს უშვებს, წარმატებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. 1950 წელთან შედარებით 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის აქ შრომის ნაყოფიერება 175,4 პროცენტით გაიზარდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში მოპოვებული წარმატება იმის შედეგია, რომ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია, მთელი კოლექტივი სისტემატურად ზრუნავენ წარმოების ტექნიკური გაუმჯობესებისათვის, ახალი, უფრო მეტი წარმადობის მანქანების, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების, რაციონალიზატორულ წინადადებების ფართოდ დანერგვისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. კოტიშაძე) შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში მთავარ ყურადღებას აქცევს მუშათა საწარმოო აქტივობის გაძლიერებას, წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას. პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზე მყოფი ყველა 149 კომუნისტი განაწილებულია წარმოების პასუხსაგებ უბნებზე. ისინი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის სათავეში დგანან.

ძაფსაღები საამქროს ბრიგადირმა კომუნისტმა რ. ყუფარაძემ მოაწყო პარკის სახარშავი ქვაბების წყლის დონის მარეგულირებელი ტიტტიებები, რომლებიც იძლევა პარკის ხარჯვის საგრძნობ ეკონომიას, აუმჯობესებს ხარშვის ხარისხს. მექანიკური სახელოსნოს ზეინკალმა კომუნისტმა ჯ. სანოძემ მოახდინა ძაფსაღები დაზგის საცვლელი ნაწილების რესტავრაცია, რაც წარმოებას წლიურად 10 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს. საგრეხი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ვ. ნაბერუხინმა დაამზადა ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც მანქანის გაუჩერებლად ხდება თითისტრის ამოქრავი ღვედის გაწმენდა და მისი სისქის რეგულირება. ამით საგრძნობლად გაუჯობესდა ნაგრეხი ძაფის ხარისხი.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა კომუნისტმა ვ. ბერაძემ. ის შეეხება ნაგრეხი აბრეშუმის ძაფის საკონდიციო წონის გარკვევას ალუმინის კოჭების გამოყენებით. ამ წინადადების განხორციელებით ფაბრიკა წლიურად 135 ათას მანეთ ეკონომიას იღებს.

შრომის მექანიზაცია, მისი კარგად მოწყობა პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანია. ფაბრიკაში სამუშაოთა 89 პროცენტი მექანიზებულია. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად მანქანების მოცდენა მინიმუმამდეა დაყვანილი. სისტემატურად ინერგება ორგანიზაციული ხასიათის რაციონალიზატორული წინადადებებიც. მაგალითად, საამქროს პარტჯგუფის ინიციატივით ძაფის სალპობი განყოფილებიდან საშრობ ოთახში გადატანილ იქნა მექანიკური საშრობი აპარატი. ძველ ადგილზე ეს აპარატი მაღალ ტემპერატურას ქმნიდა და შრომის პირობებს აუარესებდა.

შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაციის შედეგად ფაბრიკა რიტმულად მუშაობს. წელს ფაბრიკამ II კვარტალის საწარმოო დავალება 119,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო III კვარტალისა — 121.3 პროცენტით.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით უმჯობესდება არსებული ტექნიკის გამოყენება. კომუნისტებმა შეიმუშავეს წინადადება მეორე გრეხის მანქანების ბრუნთა რიცხვის გადიდების შესახებ. ეს წინადადება პარტიული ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერით მოკლე ვადაში განხორციელდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული არსებული საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენებისათვის, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის საუკეთესო საშუალებაა. პარტბიუროს წევრებმა იმსჯელეს იმის შესახებ, რომ ძველი საგრეხი საამქროს მანქანები და მოწყობილობა ახალ საამქროში გადაეტანათ. ეს წინადადება მართლაც განხორციელდა. ამ გზით ფაბრიკამ მიიღო 650 კვადრატული მეტრი თავისუფალი ფართობი, რაც გამოყენებულია წარმოების ნარჩენების გადასამუშავებლად.

პროდუქციის ხარისხის სისტემატური ამაღლება ფაბრიკის კოლექტივის მთავარი საბრძოლო ამოცანაა. საგრეხი საამქრო სისტემატურად ვერ ასრულებდა პირველი ხარისხის აბრეშუმის ძაფის გამოშვების გეგმას. საკითხის შესწავლის მიზნით პარტბიურომ გამოჰყო სპეციალური კომისია პარტბიუროს მდივნის ამხ. კოტიშაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ შეისწავლა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები და თავისი წინადადება განსახილველად წარუდგინა პარტიულ კრებას. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დაავალა მტკიცე კონტროლი ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე.

პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ ძალას უნარიანად იყენებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის ეკონომიისათვის. ფაბრიკის კოლექტივი ჩაება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა წლიური საწარმოო გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება. 9 თვის საწარმოო დავალება განაღდებულია 115,9 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ავანგარდულ როლს ასრულებენ კომუნისტები. ისინი არა მარტო წარმატებით ანაღდებენ დავალებებს, არამედ ეხმარებიან ჩამორჩენილ მუშებს, აღწევენ იმას, რომ ჩამორჩენილნი მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

ფაბრიკამ 9 თვის განმავლობაში დაახლოებით 9.500 კილოგრამი ნედლეული დაზოგა და გეგმის გადამეტებით 2.707 კილოგრამი ნაგრეხი ძაფი გამოუშვა. ამაში დიდია პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის დამსახურება. კომუნისტებმა გ. ჯანელიძემ, მ. ღაჟავამ 9 თვეში საშუალოდ 20-25 კილოგრამი ნედლეული დაზოგეს თვითეულმა.

ახალი ტექნიკა, წარმოების მექანიზაცია, შრომის მოწინავე ხერხების გამოყენება მოითხოვს მცოდნე, კვალიფიციურ მუშებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. ამ მიმართულებით ფაბრიკაში ერთგვარი მუშაობაა გაწეული. ეს საკითხი პარტიულმა ორგანიზაციამ წელს ორჯერ განიხილა, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის უკეთ მოწყობისათვის.

ფაბრიკაში 23 ინჟინერი და ტექნიკოსია. მუშა-მოსამსახურეთა საერთო შემადგენლობიდან 63-ს საშუალო განათლება აქვს, 38 მუშა სწავლობს ფაბრიკის ბაზაზე არსებულ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. სხვადასხვა კურსებზე და სკოლებში, აგრეთვე უშუალოდ წარმოებაში ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გზით ყოველწლიურად მზადდება 200-ზე მეტი მუშაკი. ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ეწყობა ტექნიკური ხასიათის ლექციები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. მასობრივ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისათვის აქ მოწყობილია სპეციალური ოთახი, სადაც გამოფენილია საფეიერო მანქანების ნაწილები, გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები, სხვადასხვა პლაკატები, დიაგრამები, დამხმარე ლიტერატურა და სხვ.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია და ადმინისტრაცია ზრუნავენ იმისათვის, რომ მუშებს შეუქმნან ნორმალური სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობები. უკანასკნელ ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 28-ბინიანი სახლი, მალე დამთავრდება 14-ბინიანი სახლი, დაწყებულია 34-ბინიანი სახლის მშენებლობა. ფაბრიკა უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი სასადილოთი.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, პარტიულ ორგანიზაციას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში ნაკლიც აქვს. იგი ჯერ კიდევ უნარიანად ვერ იბრძვის იმისათვის, რომ გამოავლინოს და გამოიყენოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი. საგრეხ საამქროში დამთავრებული არ არის მთელი რიგი სამუშაოები, რაც აფერხებს გამართულ მუშაობას. საამქრო სისტემატურად ვერ მარაგდება კოჭებით. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მუშათა დენადობა.

პარტიის წულუკიძის რაიკომის მოვალეობაა კიდევ უფრო აამაღლოს ფაბრიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდის მთელი რეზერვების გამოვლინება და მაქსიმალურად გამოყენება.

დ. კაკაბაძე.

ყურძნის უზვ მოსავალს იღებენ წელს სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობის მევენახეები. **სურათზე:** მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი კომკავშირელი ტ. მეტრეველი კოლმეურნეობის ვენახში კრეფის წინ ამოწმებს ყურძნის სიმწიფეს.

ფოტო ვ. უბოყენკოსი.

გეგმის გადამეტებით ასი ტონა თამბაქოსათვის

ოჩამჩირე, 22 ოქტომბერი. (საქდესი). სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში თამბაქოს უხვი მოსავალი მოვიდა. უკვე აღებულია 2.250 ათასი ზონარმეტრი თამბაქო — 350 ათასი ზონარმეტრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, ოც ჰექტარ ფართობზე აიღებენ მეორე მოსავალს.

თამბაქოსაგან კოლმეურნეობას ყოველ წელიწადს რვა-ათი მილიონი მანეთი შემოსავალი აქვს.

კოლმეურნეები იბრძვიან, რათა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 100 ტონა თამბაქო.

ბოსტნეულის უხვი მოსავალი

ხაშური. (საკ. კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობები ბოსტნეული კულტურების უხვ მოსავალს იღებენ.

სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობამ 15 ჰექტარზე უთესია ბოსტნეული კულტურები. კოლმეურნეობამ 3,25 ჰექტარზე უკვე აიღო ხახვის მოსავალი, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 159 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90 ცენტნერისა. კოლმეურნეობა ყოველ ჰექტარზე იღებს აგრეთვე 160 ცენტნერ კომბოსტოს, გეგმა კი 120-ს ითვალისწინებს.

ბოსტნეულის უხვი მოსავლის მოსაყვანად კარგად იმუშავეს ბრიგადირმა ა. ბლიაძემ, კოლმეურნე ქალებმა ლ. სილაძემ, ვ. ქაშაკაშვილმა, ნ. ქალიაშვილმა, ნ. ღონღაძემ და სხვებმა.

ვებრძოლოთ სპეკულაციას, ... დამახინჯებანი ...

— ეი ეს ამხანაგი, ფეხსაცმელს რომ კერავს, რა გვარია? — შეეკითხეთ საამქროს გამგეს.

— არ ვიცი.

— მის გვერდით რომ მუშაობს?

— არ ვიცი.

— არც ისა, კუთხეში რომ ზის?

— არა-მეთქი, ან რაში გეკითხებათ, — ხელს ჩაქნევით თქვა საამქროს გამგემ და შეკერილი ფეხსაცმლის მწკრივს გაბრწყინებული სახით გადახედა.

26 კომისრის სახელობის არტელის ფეხსაცმლის № 1 საამქროს გამგემ კომუნისტმა გიორგი შატვეროვმა მათი გვარები შეენებულად არ დასახელა. გიორგის მეგობრები ვ. ოვანოვი, ი. ბადალიანი, მ. მეფდლიშვილი, ა. მანუკიანი და ირაკლი ბადალიანი თავაუღებლივ კერავდნენ ფეხსაცმელს (ცისთვის, არ ვიცით!), მაგრამ არცერთი მათგანი სამუშაოზე გაფორმებული არ აღმოჩნდა.

თუმცა ეს პირველი შემთხვევა როდია ამ არტელის მესვეურთა მოღვაწეობაში. ამას წინათ პარტიის კიროვის რაიკომმა შეიტყოა 26 კომისრის სახელობის არტელის საქმიანობა. სხვადასხვა დამახინჯებებისათვის ხელმძღვანელები სასტიკად დაისაჯნენ. კერძოდ, დოყლაპიობისათვის, სუსტი კონტროლისათვის არტელის ტექნიკურ ხელმძღვანელს ე. პარტოსიანს მეაცარ პარტიული სასჯელი დაედო, დაისაჯა გ. შატვეროვიც. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან საჭირო დასკვნები არ გააკეთეს.

დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ 26 კომისრის სახელობის არტელის აღნიშნული საამქრო სარეწაო საბჭოს ხელმძღვანელთა ცხცირწინ არის, მაგრამ ისინი დამახინჯებებს რატომღაც ვერ ამჩნევენ.

უკონტროლობა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება გზას უხსნის ბოროტმოქმედთ, გარეწრები ხელგაშლილად მოქმედებენ. აი რამდენიმე მაგალითი: არტელ „წითელი ოქტომბრის“ სატრიკოტაჟო საამქროს გამგემ ვ. მასარაშვილმა რკინიგზის მუშათა მოსარგებლის მაღაზიის დირექტორთან გ. ჩილინგაროვთან გამონახა საერთო ენა. მ. მახარაშვილმა გ. ჩილინგაროვს უფასოდ მისცა 40 ცალი პირსახოცი და სხვა სამრეწველო საქონელი 3.700 მანეთის ღირებულებისა, ხელზე კი მიიღო 2.125 მანეთი. დანარჩენი „ალბათ“ გ. ჩილინგაროვს „უფეშქაშა“!

ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ პატიოსან, საზოგადოებრივ შრომას, მუქთახორობენ, სპეკულაციის გზით იოლად ცხოვრობენ. წინათ ნასამართლევმა, ამნისტირებულმა ა. კაზარიანმა ბზიფის შეპაზეევის № 15 სახლში მოაწყო ფეხსაცმლის ტყავის დამამზადებელი სადღეღამო საამქრო, მისი შესასვლელი შენიღბა შეშით და სიმინდის ნათესით. აქედან ქალაქის სხვადასხვა კუთხეში სპეკულანტებს მიაქონდათ ტყავეული. შემოწმების დროს საიდუმლო საამქროში აღმოჩნდა 1 ტონა და 263 კილოგრამი ტყავი, 42 მეტრი სასპეკულაციოდ გამზადებული ძვირფასი ქსოვილი...

უყურადღებობისა და წაყრუების შედეგად თალილთები ზოგჯერ სახელმწიფო ქონებაზე იობობენ ხელს. თბილეფჩრობის № 7 მაღაზიის სექციის გამგემ მ. ილარიონაშვილმა და გამყიდველმა ი. ბულდადარიანმა უფაქტურად გამოიტანეს 1.000 მეტრი ქსოვილი „ილაატელიტორგის“ ბაზის საწყობიდან (გამგე შ. შავთვალაძე), ის საქონელი თავისუფლად შეზიდეს მაღაზიაში და ჰყიდდნენ...

სამედიცინო ინსტიტუტის მატერიალური საწყობის გამგემ კომუნისტმა მ. ხუნდაძემ საწყობში შეზიდა მოსკოვიდან გამოგზავნილი საკოსტუმეები, საკაბეები, ფეხსაცმელი. როგორც თვითონ აცხადებს, მან „ხუმრობით“ გადატანა ერთი ცალი ფეხსაცმელი ერთს, ხოლო მეორე — მეორეს.

სპეკულანტები უმთავრესად თავს იყრიან საკომისიო მაღაზიების წინ, მარჯანიშვილის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში. გამვლელებს მოსვენებას არ აძლევენ ისინი. სპეკულანტ მ. ხაჩიკიანს ოთხი წყვილი ქალის ფეხსაცმელი პალტოს ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი და საკომისიო მაღაზიის წინ ჰყიდდა.

ვიცოდით ასეთ ფაქტსაც: სახლში სპეკულანტ გ. ავეტისიანს რამდენიმე უუთი კარაქი ჰქონდა გადამალული და მის რეალიზაციას ეწეოდა. ნუთუ რომელმე მეზობელმა ვერ შეამჩნია ეს?

თბილუნივერმაღის, თბილეფჩრობის, „გლავგასტრონომის“, თბილკვებეფჩრობის მაღაზიებში ჯერ კიდევ ვხვდებით ეფჩრობის წესების დარღვევებს, რაც სპეკულაციის წყაროა, ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად. თბილუნივერმაღის № 1 მაღაზიის დირექციაში ბოლოსით გაჩვენებენ რეგულს, რომელშიც სპეკულანტების გვარებია ჩაწერილი. მაღაზიის გრძელ დარბაზში კი ივივე სპეკულანტები არხეინად დაპარპაშობენ.

იმის ფაქტებიც არის, როცა აღგილობრივი ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი კი არ იბრძვის, არამედ ხელს უწყობს სპეკულანტებს. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების დოკუმენტებში ნახავთ მრავალ საყურადღებო ჩანაწერს. უკანასკნელ ხანს ყაზბეგის რაიონიდან დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში გაიყიდა 160 ჯიშიანი ძროხის ხორცი, მათი უმეტესი ნაწილი ყალბი საბუთებით არის რეალიზებული. სნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კომუნისტმა ე. ფირანიშვილმა „ზაირით“ შეუმოწმა სპეკულანტ ი. ჯანუფაშვილს ნ. ფიცხელაურის მინდობილობა, რომ თითქოს ის ი. ჯანუფაშვილს გასაყიდად თბილისში ატანს ერთ ძროხას. ე. ფირანიშვილმა სხვა სპეკულანტებსაც მისცა ყალბი ცნობა. სპეკულანტებს ყალბ ცნობები მისცეს ავჩიეთე დარიალის, გორის, ციხისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომებიდან. პარტიის ყაზბეგის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა შეიტყოლონ სპეკულანტების ხელისშემწყობთა დანაშაულებრივი საქციელი და პასუხი მოსთხოვონ მათ.

სოფელ სოფლის სასაკლაოს გამგემ ა. გაჩეჩილაძემ გაქნილ სპეკულანტებს — ა. აბასოვს, ტ. პოსტოიანს, კ. აბასოვს სათარეშო ბაბარეთი მისცა. ამას წინათ ა. გაჩეჩილაძესთან მივიდა სპეკულანტი ლ. ხართიშვილი, რომელმაც წარუდგინა ცნობა, რომ მან წამოიღოდ გასაყიდად მიიყვანა ოთხი ძროხა. ცნობა აშკარად ყალბია, იგი თითქოს ყაზბეგის რაიონის სნის სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან არის გაცემული, ხელისმოწერაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისაა, მაგრამ ბეჭედი და შტამპი სოფელ სანიბის კოლმეურნეობისა. ცნობაზეა რეზოლუცია: „ვინაიდან საეჭვო, დაუკალით. ცნობა შესამოწმებლად გადაგზავნეთ“. ძროხები დაკლეს, ხოლო აღნიშნული ცნობა შესამოწმებლად არავისთვის არ გადაუგზავნიათ.

გასულ წელს საქონლის ხორცით სპეკულაციისათვის პასუხისგებაში მისცეს ვ. გურულიშვილი. ჯელეტა-ძიების შემდეგ მისი საქმე გაარჩია გარეუბნის რაიონის პირველი უბანის სახალხო სასამართლომ, რომელმაც გურულიშვილს 7 წლით პატიმრობა დაუსაჯა. ფისკალია მიუსაჯა. აღნიშნული საქმე დაარღვია საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ და განსახილველად გადაუგზავნა მეორე უბნის სახალხო სასამართლოს, რომელმაც გურულიშვილს 5 წლის პატიმრობა მიუსაჯა. უმაღლესმა სასამართლომ საქმე კვლავ დაარღვია და დამატებით ძიებისათვის გარეუბნის პროკურატურას გადაუგზავნა, სადაც იგი ძიებით შეწყდა. განა ამაზე შორს წადა უპასუხისმგებლობა? თუ გურულაშვილი დამნაშავე არ იყო, რატომ დასჯირდა მილიცია-პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს 154-გვერდიანი საქმის შედგენა?

სპეკულაციის, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯების წინააღმდეგ მილიცია-პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებთან ერთად მტკიცედ უნდა იბრძოდეს მთელი საზოგადოებრიობა, თვითეული საბჭოთა მოქალაქე. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა იდგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ა. გოცირიძე.
შ. ჭოტაშვ.

გამოფენა „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“

დღეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნება საიუბილეო გამოფენა „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“.

ლამაზად გაფორმებულ დარბაზში, სადაც გამოფენაა მოწყობილი, ცენტრალურ კედელზე ვკითხულობთ ვ. ი. ლენინის უკვდავ სიტყვებს: „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“.

პირველი განყოფილების მასალები ასახავენ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებას, რამაც პირისპირ შეაჯახა პროლეტარიატი და გლეხობა მეფის თვითმპყრობელობასა და მემამულურ მიწათმფლობელობასთან. აქვე მოთავსებულია მხატვარ მრევლიშვილის სურათი „სოფლის კანცელარიის წინ“, რომელიც გადმოგვცემს საქართველოში გლეხკაცობის დუხჭირ ცხოვრებას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. 1905 წლის იანვარ-თებერვლის სახელოვან გამოსვლებს ბიძგი მისცა 1904 წლის ნოემბერ-დეკემბერს ბაქოში მომხდარმა საყოველთაო გაფიცვამ. გამოფენილია 1904 წლის დეკემბერში ბაქოს გაფიცვის ხელმძღვანელების: ი. ბ. სტალინის, ა. ჯაფარიძის, ი. ფიოლეტოვის, ლ. ბობროვსკის, პ. მონტინის, მ. მამედიაროვის, ხანლარ საფარ-ალიევის და სხვათა ფოტოსურათები.

გამოფენილია აგრეთვე იმდროინდელი კარიკატურების ფოტოასლები, რომლებიც მეტყველებენ მეფის რუსეთის სამხედრო ორგანიზაციის და მთელი სახელმწიფო წყობილების სიდამბლეზე. ორმა შთაბეჭდილებას ახდენს ნახაზელზე ვლადიმიროვის სურათი: „1905 წლის 9 (22) იანვარს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა პეტერბურგში“.

აქვე მოცემულია გაზეთ „ვპერიოდის“ № 4 ფოტოასლი, რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატია: „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში“.

1905 წლის 9 იანვრის შემდეგ მთელ რუსეთს მოედო მუშათა გაფიცვები.

1905 წლის რევოლუციური ამბების ქრონიკა გვამცნობს, რომ 18 იანვარს თბილისსა და ბათუმში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. 19 იანვარს დიდუბეში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი. 21 იანვარს გაიფიცნენ ფოთის რკინიგზის მუშები. 23 იანვარს თბილისში გოლოვინის პროსპექტზე, ოპერის წინ, დემონსტრანტებმა აღმართეს წითელი დროშა და გაავრცელეს პროკლამაციები. ექსპოზიციაშია თბილისის კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს ხალხს მონაწილეობა მიიღოს 1905 წლის 23 იანვრის დემონსტრაციაში. 1905 წლის იანვრის დასაწყისში გამოვიდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ“. ეს პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს შურისძიებისაკენ, რევოლუციური ბრძოლების გაშლისაკენ. ამავე განყოფილებაშია მოთავსებული ოფიციალური ცნობები თბილისში, ჭიათურაში, გორში დაწყებული გაფიცვების შესახებ და გაზეთ „ვპერიოდის“ № 11, 12 ფოტოასლები.

საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს თვითმპყრობელობის ვერაგი პოლიტიკის სამხილებლად და ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებისათვის ქართველ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ მშრომელთა შორის.

მხატვარ გაბიტაშვილის სურათის ესკიზზე გამოსახულია საპრობტესტო მიტინგი, რომელიც მოეწყო 1905 წლის 13 და 14 თებერვალს ბაქოში მომხდარი სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტის გამო.

ექსპოზიციაში გამოფენილია სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები „ბაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“, „ბაუმარჯოს წითელ დროშას“ და სხვ.

რევოლუციური ამბების ქრონიკა გადმოგვცემს 1905 წელს საქართველოში საგაფიცვო მოძრაობის განვითარებას თებერვალსა და მარტში. ბათუმის მუშებმა 19 მარტს ერთდღიანი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. ახალქალაქში შედგა გლეხთა დიდი კრება, აირჩიეს მეთაურები სოფლის საქმეების წარმოებისათვის. სოფელ მუხრანში (დუშეთის მაზრა) შეიკრიბა 14 სოფლის გლეხობა. კრებამ დაადგინა, რომ გლეხებს არ გადაეხადათ გადასახადები და ესარგებლათ მემამულეთა მიწებით, საძოვრებით და ტყეებით.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლენინის ერთგული მოწაფე ი. ბ. სტალინი. განსაკუთრებით ფართოდ არის მოცემული კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მუშაობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, მისი როლი იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის, თბილისისა და ბათუმის კომიტეტების ხელმძღვანელობისა და რსდმპ მესამე ყრილობის მოწვევის მზადების საქმეში. მხატვრულ ტილოზე აღბეჭდილია კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრების ვ. ბობროვსკის, ა. ჯაფარიძის, მ. ცხაკაიას, ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის, ს. შაუმიანის, მ. ბოჭორიძის, მ. დავითაშვილის, ბ. კნუნიანცის, ნ. ალაჯალოვას სახეები.

აქვეა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შემადგენლობის ფოტომონტაჟი. ლამაზ ჩარჩოებში ჩასმულია III ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ტექსტები რუსეთის პირველი რევოლუციის ყველა აქტუალურ საკითხზე.

ექსპოზიციაში მოთავსებულია მეტად საინტერესო ცნობები სოფელ მუაღიჯვრის გლეხების და კაზაკების შეტაკების შესახებ.

გამოფენაზე ექსპონირებულია 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის გამგეობის შენობაში მუშების ვერაგულად დახვრეტის ისტორიული ფაქტის ამსახველი დოკუმენტები. აქ მოთავსებულია იმ დღეებში გამოცემული პროკლამაციებიც: „იღვრება სისხლი, ემზადეთ აჯანყებისათვის“ და სხვ.

გამოფენის დარბაზის შუა კედელს ამშვენებს 1905-1907 წ. წ. რევოლუციის მონაწილეთა ფოტოსურათები.

გამოფენის მეორე დარბაზში მოთავსებულია 1905 წლის ოქტომბრის და დეკემბრის რევოლუციური ბრძოლების ამსახველი მასალები.

აქვეა ამონაბეჭდი ვ. ი. ლენინის სტატიიდან „სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“: „თვითმპყრობელობას **უკვე** აღარ ძალუძს აშკარად გამოვიდეს რევოლუციის წინააღმდეგ. რევოლუციას **ჯერ კიდევ** არ ძალუძს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს მტერს. თითქმის გაწონასწორებულ ძალთა ეს ქანაობა აუცილებლივ ბადებს ხელისუფლების დაბნეულობას, იწვევს რეპრესიებიდან დათმობებზე, პრესის თავისუფლებისა და კრებების თავისუფლების კანონებზე გადასვლას“ (ტ. 9, გვ. 486). ამის შედეგი იყო მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი. ხალხის მოტყუების ეს საშუალება მიმართული იყო იქითკენ, რომ სისხლში ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა.

გამოფენაზე ნაჩვენებია მხატვარ ქუთათელაძის მიერ შესრულებული სურათის ესკიზი — ი. ბ. სტალინის გამოსვლა ნაძალადევში ხალხმრავალ მიტინგზე.

მხატვრული სურათის ესკიზზე გამოსახულია გურული გლეხების აჯანყება. აქვე ჩამოთვლილია ამ სახელოვანი აჯანყების მონაწილეთა გვარები: ქ. მამალაძე, ს. მამალაძე, მეგრელიშვილი, ს. ფირცხალაიშვილი, ს. დარჩია, კ. უჯმაჯურიძე და სხვ.

გამოფენილია ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „ყველა მუშას“ და 1905 წლის ნოემბერში თბილისის კომიტეტის მიერ გამოცემული მოწოდება მოსახლეობისადმი იარაღის შესაძენად ფულის შეგროვების შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

„მოქალაქენო, საჭიროა ყველა ღონისძიება ვიხმაროთ, რომ იარაღი შეიძინოთ. მოქალაქენო, ნუ გაექცევით თქვენს მოვალეობას, ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს ხალხის შესაიარაღებლად“.

ვეცნობით მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს: ვ. ბაქრაძეს (ქელეზნი), ს. ბუაჩიძეს (ნოე), სერგო ორჯონიკიძეს, ვ. იწყირველს (სტეპკო), მ. კალაძეს, ი. ყიასაშვილს, ა. მერკვილაძეს, ტერ-პეტროსიანს (ყამო), ნ. კიკნაძეს, გ. თელიას და სხვებს.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ისტორიის მასალებს. იანვარ-თებერვალში დაწყებული მუშათა რევოლუციური გამოსვლები შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. მოსკოვში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებაში რუს რევოლუციონერებთან ერთად ბარიკადებზე იბრძოდნენ ქართველი რევოლუციონერებიც.

გამოფენაზე ვეცნობით მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მონაწილე ქართველ ამხანაგებს: ს. თორდრიას, უ. ჯაშს (ყარამანი) და გ. სტურუას. 18 დეკემბერს ნაძალადევში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ჯარის ნაწილებთან შეტაკების დროს დაიღუპა 9 მუშა. მხატვრულ სურათზე მოცემულია რევოლუციური ნაძალადევის მებრძოლი რაზმის ბრძოლა. დამთავალი რეტელნი პირველად ნახავენ 1905 წლის 16, 19, 25 დეკემბერს დაწერილ პროკლამაციებს, რომლებშიც დეკემბრის შეიარაღებული ბრძოლების დღეებში რსდმპ თბილისის ორგანიზაციის საგაფიცვო კომიტეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს. დარბაზის ცენტრში მდგომი მაკეტი გადმოგვცემს წითელრაზმელების მიერ მეფის ჯარების წინააღმდეგ მოწყობილ ხარაგაულ ზესტაფონის 30 დეკემბრის ოპერაციას.

1905 წლის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა. ექსპოზიცია წარმოდგენილია ი. ბ. სტალინის შთამაგონებელი სიტყვებით: „რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის

საღეისო თემაზე

უდანაკარგოდ ავიღოთ სიმინდის მოსავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარცვლეულ კულტურათა შორის სიმინდი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მცენარეა.

საქართველოში სიმინდსა და ხორბალს თითქმის ერთნაირი ფართობი უკავია. სიმინდის კულტურა უფრო ფართოდ არის განვითარებული დასავლეთ საქართველოში. აქ მისი ფესვდრეთი წონა სხვა სათეს მცენარეთა შორის საშუალოდ 70 პროცენტს შეადგენს. სიმინდს ფართოდ იყენებენ პირუტყვის საკვებად. იგი აძლევა მეცხოველეობისათვის ფურაჟს, სილოსს, მწვანე საკვებსა და ჩალას.

ამიტომ ბუნებრივია, რომ წელს რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა სიმინდის ფართობი. სრულ სიმწიფეში ასაღებ სიმინდს 133.456 ჰექტარი უკავია, ხოლო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში ასაღებს — 19.338 ჰექტარი.

ახლა მასობრივად არის გაჩაღებული სიმინდის აღება. 15 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში სიმინდი სრულ სიმწიფეში აღებული იყო 26.679 ჰექტარი, რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში 5.871 ჰექტარი. დასახლოსებელად სიმინდის ღერო აღებულია 26 ათას ჰექტარზე მეტი.

სიმინდი დიდი რაოდენობით აქვთ ასაღები ფოთლოვანთან ასს რესპუბლიკას, აბაშას, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, ჭუთაისის, სამტრედიის, ჭიათურის, საჩხერის, გორის, მარნეულის რაიონებს. სიმინდის აღება დასასრულს უახლოვდება ხაშურის, ქარელის, თეთრწყაროს, გურჯაანის, სილნალის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები მოწმობენ, რომ სიმინდის მოსავლის აღება ბევრგან გვიანდება. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში სიმინდისაგან განთავისუფლებულ ნაკვეთებზე საშემოდგომო კულტურებს თესავენ. ამიტომ აუცილებელია სიმინდის აღების დაჩქარება. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომ 15 ოქტომბრისათვის თიანეთის რაიონს სიმინდის აღების დავალება შესრულებული ჰქონდა 24,7 პროცენტით, მარნეულის რაიონს — 27, ლაგოდეხს — 46,8, თელავის — 50, გორის — 46,8, ყასპის რაიონს კი — 54,4 პროცენტით.

სიმინდის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობს წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობის, აბაშის რაიონებში, სადაც დავალება შესრულებულია 20-45 პროცენტით.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებ შესანიშნავი გამოცდილება აქვთ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების, მისი უდანაკარგოდ აღების საქმეში. მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, უნარიანად იყენებენ შრომითს რესურსებს და სწრაფად იღებენ სიმინდის მოსავალს. მოწინავეთა ეს გამოცდილება ყველას კუთვნილება უნდა გახადოთ.

ამოცანა ის არის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ სიმინდის მოსავლის აღებისა და დასილოსების ტემპი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდი, მთელი ძალები დავრაზმოთ სიმინდის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის, უზრუნველვყოთ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

მაღალმთიან კოლმეურნეობებში

მესტიის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს სიმინდის დიდი მოსავალი მოიყვანეს.

გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 48-50 ცენტნერ სიმინდს იღებენ მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში.

სიმინდის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფელ ცხუმარის, ლახამულის, ხაიშის და სხვა კოლმეურნეობებში.

ხირსის მეფენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და სპეციალისტების ახალი საცხოვრებელი სახლები. ფოტო შ. გოკაძისა.

არღვევენ თესვის აგროტექნიკას

გურჯაანის მტს-ის ზონაში საშემოდგომო ხვნა-თესვა პირველმა დაამთავრა სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ნაცვლიშვილი). ქ. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. შამიაშვილი) თესვაში მეორე ადგილი უკავია. ამ კოლმეურნეობაში ს. გელუაშვილისა და ვ. ჭეკაძის ბრიგადებმა დაუღალავად იმუშავეს. სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამრამ დავითაშვილი ხელმძღვანელობს, დღე და ღამე არ წყდება მუშაობა. სიმინდის აღება, ნაკვეთების გაწმენდა სწრაფად მიმდინარეობს. მექანიზატორებს ხელი არ ეშლებათ, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან. ამიტომ არის, რომ ტრაქტორისტები ბეჯითად მუშაობენ. ტრაქტორისტი ს. გოგოლაშვილი თესვის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს. ბრიგადირი შ. პედენკო თესვის ხარისხს ხშირად ამოწმებს. ბრიგადირის შვილი ვიქტორ პედენკო „დტ-54“ მარკის ტრაქტორით დღეში 16 ჰექტარს ხნავს.

მაგრამ გურჯაანის მტს-ის ზონაში ხვნა-თესვის საქმეში ნაკლოვანებებიც ბევრია. სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის ნაკვეთებში, ალაზნის მარცხენა მხარეს, ვ. ზავრაშვილის ბრიგადის ტრაქტორისტებმა 19 ოქტომბერს ხვნა შეაჩერეს იმის გამო, რომ ნაკვეთები გაწმენდილი არ იყო. კოლმეურნეობის ბრიგადამ (ბრიგადირი ყ. სონღულაშვილი) სიმინდის დროულად აღება და ნაკვეთების გაწმენდა ვერ უზრუნველყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ტრაქტორისტმა ვ. მახარაშვილმა გაუწმენდავი ნაკვეთი მოხნა. ნახნავი იმდენად უხარისხოა, რომ იქ პურის დათესვა ნამდვილად დანაშაული იქნება.

ნაკვეთების გაუწმენდაობის გამო საშემოდგომო ხვნა-თესვა ფერხდება კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე შ. ჩახავაშვილი). 19 ოქტომბერს ალაზნის მარცხენა მხარეს ნაკვეთების გაწმენდაზე 8 კაცზე მეტი არ მუშაობდა. მათ ცუდად ხელმძღვანელობდა თავმჯდომარის მოადგილე ი. მარტაშვილი. მერვე სატრაქტორო ბრიგადას (ბრიგადირი გ. გულაშვილი), რომელიც ამ კოლმეურნეობაში მუშაობს, 440 ჰექტარიდან 20 ოქტომბრისათვის 200 ჰექტარზე მეტი არ ჰქონდა დათესილი. ამ ბრიგადაში ვხვდებით უდისციპლინობას, რის გამო დაბალია შრომის ნაყოფიერება.

გურჯაანის მტს-ის ტრაქტორისტები უწინასწარესი გუთნებით ხნავენ, რაც არღვევენ ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკას. მექანიზატორებმა გაიაზრეს, რომ ერთი წელია, რაც წინასწარესები არ მიუღიათ. მათი ნათქვამი მტს-ის დირექტორმა დ. როსტომაშვილმაც დაადასტურა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ის „წყრომლმანი“ მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა.

ზოგან ხორბალს უხარისხოდ თესავენ. 19 ოქტომბერს მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ს. ხუროშვილი დაზიანებული სათესებით თესავდა. ერთ მანქანას 6 ცალი გამომთესი მილი დაზიანებული ჰქონდა, თესლი იბნეოდა. მეორე მანქანის ერთ ჩამთეს მილში თაგვს მოეკალათებინა და ამის გამო მწკრივი უთესლოდ რჩებოდა. ვეჯინის კოლმეურნეობიდან მიმაგრებულ მთესავს ა. სიხარაშვილს ყველაფერი ეს მხედველობიდან გამორჩა.

კოლმეურნეობებს ზიგზაგები არა აქვთ. ამით არის გამოწვეული, რომ ბევრგან ხორბალს გაუფხვიერებელ ნაკვეთებში თესავენ. ზიგზაგებით კოლმეურნეობების უზრუნველყოფა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (უფროსი ო. კვანტალიანი) მოვალეობაა, მაგრამ რატომღაც ამ საქმის მოგვარებას ზერელედ ეკიდებიან.

საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში გურჯაანის რაიონში სხვა ნაკლოვანებებიც არის. პარტიის გურჯაანის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა განახორციელონ ჩამორჩენის დასაძლევად, აგროტექნიკის დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლიტერატურა და ხელოვნება

ეროვნული

პავლო ტიჩინა

დავით გურამიშვილს

გვაქვს ოჯახი ერთიანი,
მეგობრობის მზით რომ ბრწყინავს, —
შენი ღვიძლი საქართველო,
რუსეთი და უკრაინა.
ერთი აზრი გვაკავშირებს —
განვამტკიცოთ ჩვენი მხარე!
ჩვენთანა ხარ დღესაც, დავით,
ჩვენთან ერთად იმქუხარე!

თუმც ცოცხლობდი დიდი ხნის წინ —
არ მომკვდარხარ, არც მოკვდები,
გხედებით ყოველ დღისით, მზისით,
ამ ზაფხულზეც ცოცხალს გხედებით.
შენ კვლავ გიჩქეფს სისხლი ცხელი,
არ ცივდება შენი გული,
დიდო დავით, შენ ხარ ჩვენი
სიამაყე, სიყვარული.

ჩვენს მხარდამხარ, როგორც გმირი,
მოხვალ, უკან გვრჩები როდი,
და ხარობენ დიდი შვილით
საგურამო, მირგოროდი...

მტერი ისე დაამარცხე,
წარბიც კი არ შეიხარე,
რადგან მუდამ ხალხთან იყავ
და მოსკოვი შეიყვარე.
ვარდებს გიძღვნით, სიყვარული
არასოდეს ბოლოვდება...
კვლავ ვებრძოლოთ, დიდო დავით,
სიძნელეს და ბოროტებას.

გვაქვს ოჯახი ეროვნული,
მეგობრობის მზით რომ ბრწყინავს, —
შენი ღვიძლი საქართველო,
რუსეთი და უკრაინა,
ერთი აზრი გვაკავშირებს,
ჩვენი ძალა გვწამს და გვჯერა.
ჩვენთანა ხარ დღესაც, დავით,
წამოიწყე კვლავ სიმღერა!

შეგიღია გულის კარი
სამშობლო თუ ბელორუსის,
შენი სიტყვის მინანქარი
ყველა ჩვენგანს გულში უზის.
სიჯაბუკედ მოვარდნილი
ლეშა ხალხმა შეიყვარა,
შენ ჩვენი ხარ, დიდო დავით,
შენ ჩვენი ხარ სულ და მარად!

თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა.

ახალი სპექტაკლები

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი წარმოდგენა — ლ. ქეაჩელის „ტარიელ გოლუა“.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. გაბუნიამ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. ყაზბეგმა, მუსიკა ეკუთვნის რ. ლაღიძეს.

როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები — მ. ჩუბინიძე, ს. გამრეკელი, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები — ა. მაგრაქველიძე, ნ. მიქ ავიძე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები — ი. კალანდაძე, ნ. ყიფიანი, მსახიობები — თ. ბოლქვაძე, ვ. სალაყაია.

• • •

ზუგდიდი. („კომ.“ კორ.). სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ოქტომბერში მაყურებელს მოიგო პრემიერად უჩვენა გ. ბერძენიშვილის პიესა „კოკნი მეწისქვილე“ (დადგმა შ. მეკვანაძისა, მხატვარი დ. ჯიბუნაია).

თეატრი ამჟამად მუშაობს ვიქტორ გაბესკირიას პიესაზე „ახალწლის ღამეს“ (რეჟისორი შ. გვაზავა).

თეატრი სისტემატურად აწყობს გასვლითს წარმოდგენებს ზუგდიდისა და სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

დიალექტოლოგიური ძიებანი

ქართული ენა მდიდარია ცოცხალი თქმებით, კილოებითა და კილოკავებით. მრავალფეროვანი დიალექტური მონაცემების შესწავლა, უძველეს წერილობით ძეგლებთან ერთად, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართული ენის ისტორიას ხანგრძლივ პერიოდში, გავითვალისწინოთ მისი განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები.

ქართულ დიალექტოლოგიას საფუძველი ჩაეყარა, მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ხოლო განსაკუთრებით ფართო მუშაობა ამ მხრივ გაჩაღდა საბჭოთა ხელისუფლების დროს: ჩაწერილ იქნა და გამოქვეყნდა თითქმის ყველა კილოს მრავალფეროვანი მასალა, სათანადო ყურადღება მიექცა ლექსიკას, გამოიცა დიალექტოლოგიური ლექსიკონები, მთელმა რიგმა გამოკვლევებმა გაანუზოლად წასწია წინ ქართული დიალექტების შესწავლის საქმე.

შ. ძიძიგურის „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955 ¼ წ.) იწყება სწორედ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოკვლევით, რომელშიც მოგროვილია ამა თუ იმ ქართული დიალექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ხშირ შემთხვევაში მოცემულია ნაშრომთა კრიტიკული შეფასებაც. გამოკვლევის ავსებს და დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების მასშტაბზე ნათელ წარმოდგენას იძლევა წიგნის ბოლოს დართული ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია.

ნაშრომში მოთავსებულია სპეციალური გამოკვლევები, მიძღვნილი მახვილისა და ინტონაციის საკითხებისადმი და ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესებისადმი ქართულ დიალექტებში, აქვეა რამდენიმე დიალექტის (ფესტური, იმერული, ლეჩხუმური-ისა და რაჭული) აღწერითი ანალიზი. ვრცელი გამოკვლევა ეძღვნება კავშირებს ქართულ დიალექტებში. აქ ცალცალკეა განხილული მაერთებელ და მაქცევმდებარებელ კავშირთა სახეები, დადგენილია ამა თუ იმ კილოსათვის ან კილოთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი კავშირები.

საინტერესო მასალას შეიცავს გამოკვლევა „ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები“, რომელშიც განხილულია დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთების ენა. სხვადასხვა სახის ისტორიული საბუთები — სიგელები, ოქმები, გუჯრები, რომლებიც ეხება ბატონყმურ ურთიერთობას, ყიდვა-გაყიდვას, წყალობას და სხვ., ენობრივად საინტერესო თავისებურებებს გვიჩვენებენ. საბუთების ენა ძირითადად, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება, მაგრამ მას მაინც მნიშვნელოვან დაღს ასვამს ის გარემოება, რომ ამგვარი საბუთების შედგენა ხდებოდა სულ სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა ლიტერატურული განთლების ხელნაწერების მიერ. საბუთების ენაში ხშირად თავს იჩენს სალიტერატურო ენისათვის უცხო ფორმები.

სახელდობრ, დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთები შეიცავენ ამ კუთხის ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებს. ამგვარი ფორმების დადასტურებას ისტორიული საბუთების ენაში მნიშვნელობა აქვს როგორც ამ ფორმათა წარმოშობის პერიოდის, ისე ეფოლუციის გასათვალისწინებლად. გამოკვლევაში ამ მხრივ მნიშვნელი საინტერესო ფაქტია მოყვანილი.

ავტორი თავის ნაშრომში განიხილავს მოხეური ლექსიკის თავისებურებას საერთოდ და კერძოდ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა მიხედვით.

ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ტექსტზე დაყრდნობის შედეგად შ. ძიძიგურს გაუსწორებია მთელი რიგი დამახინჯებული ადგილები. ზოგიერთი შეცდომა, რომელიც ხელნაწერის არაზუსტი წაკითხვის შედეგად გაპარულა ბეჭდვებად ტექსტებში, შემდეგ უცვლელად მეორდებოდა ახალ და ახალ გამოცემებში (რადგან თვით ალ. ყაზბეგის ავტოგრაფები, როგორც ცნობილია, მეტ ნაწილად დაცული არ არის). მაგალითად, „მამის მკვლელის“ ერთი ადგილ გამოცემებში შემდეგნაირად იკითხებოდა: „რა იქნებოდა, საღაც მოიზაფრებოდა“. აქ „მოიზაფრებოდა“ სრულებით არ უდგება კონტექსტს. აშკარაა, სიტყვის დამახინჯებასთან უნდა ვეძებდეს საქმე. შ. ძიძიგური ამტკიცებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო მოიზაფრებოდა, რაც მოხეურ დიალექტში დაკარგვას, გაუჩინარებას ნიშნავს, ანალოგიური დამახინჯების მაგალითია ხორტი „ზორტის“ მაგიერ, ზდე „ხდეს“ მაგიერ („ნამწყესსარის მოგონებანში“), გუგრიანი, „ბუგრიანის“ მაგიერ („ხეეს ბერ გოჩაში“) და სხვ.

ამავე ნაშრომში ავტორი არკვევს რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიასაც. ოღონდ საერთოდ უნდა შეგიშნოთ, რომ გამოკვლევას უფრო ფილოლოგიურ-ლინგვისტური შენიშვნების სახე აქვს და მას არ შეეფერება გაკალებით უფრო ფართო შინაარსის შემცველი სათაური — „მოხეური ლექსიკა ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით“.

„ძიებანი“ დაზღვეული არ არის ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. ჩვენი აზრით, საჭირო იყო ავტორს წარმოედგინა სრული სურათი ქართული ენის დიალექტური ერთიულებისა (აღარას ვამბობთ იმაზე, რომ დღეისათვის მიღებული ფოლოგია ამ მხრივ ზოგ პუნქტში გადაზედაა და დაზუსტებას მოითხოვდა).

წიგნის სხვადასხვა ადგილას გვითხულობთ: „ბარეკახური დიალექტი“ (გვ. 23), „ზემო იმერული თერჯოლური დიალექტი“ (გვ. 89), „სვანური ენის ლენგერული დიალექტი“ (გვ. 244). ამ შემთხვევებში ტერმინი დიალექტი, როგორც ჩანს, ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი, სხვაგან კი იგი იხმარება კილის სინონიმად, რასაც შეუძლია დაბნიოს მკითხველი.

კარგი ქართულით დაწერილ წიგნში მით უფრო შესაბრალია ხდება რამდენიმე ენობრიეტილისტური უხერხულობა თუ ლაპსუსი: „ავტორი აყენებს ასეთ დაბრკოლებას“ (გვ. 30), „ელდუჯის“ ყაზბეგის დროინდელ გამოცემებში“ (გვ. 128), „ქეიწყოფილ წინადადებაში შემავალ მარტივ წინადადებებს აქცენტოლოგიური ცენტრი არა აქვთ საერთოდ; მხოლოდ წინადადების ბოლოშია, წინადადების დამამთავრებელია“ (გვ. 56) და სხვ.

წიგნის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში გამორჩენილია რამდენიმე ნაშრომი, ზოგისაც ხსოლოდ თეზისებია მითითებული, თუმცა ნაშრომი უკვე მთლიანად არის გამოქვეყნებული.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ შ. ძიძიგურის „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას და გამოადგება მათ დამხმარე სახელმძღვანელოდ დიალექტოლოგიაში.

ზ. ჯუმბურიძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პიესები და სიმღერები

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა წელს შეიძინა მრავალი ახალი პიესა და სიმღერა, მათ შორის გ. გოგიჩაიშვილის პიესა „არჩეული“, ა. აფხაიძის — „ახალი ამბანაგი“, ა. აფშილავას — „უცნაური ბეჭედი“, მ. გოგიაშვილის სკეტჩი — „მოუღოდნელი ფინალი“, ქ. ხაფავას — „ფიქრი“ და „ოჯახის მემკვიდრე“, ლ. შატბერაშვილის „პრინციპის კაცი“, სულ 16 პიესა.

ახლად შეძენილი სიმღერებიდან აღსანიშნავია დ. თორაძის — „ყაზახეთის ველებზე“, ბ. კვერნაძის — „სიმღერა პარტიაზე“, რ. გაბიჩვაძის — „პიონერული მარში“, რ. ლაღიძის — „სიმღერა მაიაკოვსკიზე“, ზ. ჩარიხიშვილის — „შრომა და ზეიმი“ და სხვ.

პიესები და სიმღერები ხალხური შემოქმედების სახლმა გამოსაყენებლად დაუგზავნა რესპუბლიკის რაიონების თვითმოქმედ კოლექტივებს.

საერთაშორისო მიმოხილვა

„ხალხები არ დაუშვებენ „ცივი ომის“ დაბრუნებას“

აი უკვე რამდენიმე კვირაა, რაც მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია საკითხები, რომლებიც დაკავშირებული საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მომზადებასთან. ეს თათბირი მოსავალ კერაში გაიმართება ჟენევაში. რაც უფრო ახლოვდება ეს შეხვედრა, მით უფრო ცხადი ხდება, რომ მისთვის მზადება ორი ხაზით წარმოებს. უბრალო ადამიანები და მათი მისწრაფების გამომხატველნი — საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრენი ცდილობენ უზრუნველყონ მოსავალი მოლაპარაკების „ეენჰაინებიანი“, „სურს, რომ ჟენევის ახალი მოლაპარაკება აღინიშნოს საერთაშორისო ატმოსფეროს შემდგომი გაუჯობესებით და თანაარსებობის სულისკვეთების გამარჯვებით“. ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრომრეწველობისა და რადიომრეწველობის მუშათა დამოუკიდებელი გაერთიანებული პროფკავშირის ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ამერიკის მთავრობას წაიღოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე „იმავე სულისკვეთებითა და გაგებით“, რომელიც ბატონობდა ოთხი მთავრობის მეთაურთა ჟენევის თათბირის დროს. ინგლისში, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის აივორ მონტეგიუს დამოწმებით, „არა მარტო მშვიდობის მომხრეები, არამედ აგრეთვე მშრომელთა უმრავლესობა დგანან ჟენევის სულისკვეთების დაცვის პოზიციაზე“. ასეთივე განწყობილება, როგორც კაიროს გაზეთი „ალ-ჰრამი“ იუწყება, გაბატონებულია ეგვიპტესა და არაბთა ბევრ სხვა ქვეყანაში...

ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში „ჯადიანებს, — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მეთაურს მიმართავს გენსაზღვრით, — სურთ, რომ დაძაბულობის შენელების სიკეთე დაეტყოს თვითეული ადამიანის ცხოვრებას“, და ეს აიძულებს მათ აღიმაღლონ ხმა „ჟენევის სულისკვეთების“ დასაცავად, მოითხოვონ, რომ ჟენევის ახალ თათბირს უფრო მეტი წარმატება ჰქონდეს, ვიდრე წინა თათბირს. და უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებში, მიღებულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცება და დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა. ასეთ ღონისძიებებს, რომლებიც მარტო უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე განხორციელდა, ეკუთვნის: კორეიდან ჩინელ სახალხო მოხალისეთა კიდევ რამდენიმე დივიზიის გაყვანა; საბჭოთა კავშირსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, ავრეთვე შეთანხმებათა დადება საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ; მოლაპარაკება იაპონის საპარლამენტო დელეგაციასთან ჩინეთში; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციების ყოფნა იუგოსლავიაში და ჩეხოსლოვაკიაში; პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწესება სსრ კავშირისა და ფინეთს შორის; საბჭოთა კავშირში ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ჩამოსვლა. მოუზადავად განსხვავებისა, თვითეული ეს მოვლენა და ყველანი ერთად, უეჭველია, წარმოადგენენ წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და, მაშასადამე, აადგილებენ ამ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დგას საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის წინაშე.

მაგრამ უკანასკნელი კვირა აღინიშნა აგრეთვე მთელი რიგი პირდაპირ საწინააღმდეგო ამბებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დასავლეთის ზოგიერთი წრეების ღონისძიებანი და მათი წარმომადგენლების გამოსვლები, რომელთა მიზანია ომის ისტერიის აღორძინება, გამალებული შეიარაღების კიდევ უფრო გაძლიერება და დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინება.

ამას წინათ ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყებოდა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ხელმძღვანელებმა საკმაოდ არ მიიჩნიეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ასიგნებული 9 მილიარდი მარკა ამერიკის შეერთებულ შტატებში მძიმე იარაღის შესაძენად. ამასთან ერთად, გაზეთის სიტყვით, „ამერიკის სამხედრო სარდლობა პარიზსა და სხვა ადგილებში“ შეფუთებულია „დასავლეთ გერმანიის ახალი შეიარაღებული ძალების ფორმირების ზედმეტი გაჭიანურებით“. ამის შესაბამისად დასავლეთ გერმანიას წარედგინა მოთხოვნა გადიდოს ასიგნებანი შეიარაღებისათვის და დაიჩქაროს ეერმახტის შექმნა...

ეფიქრობთ, საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რამდენად დამღუპველია მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ხოლო სწორედ აქეთკენ არის მიმართული მოთხოვნები, რომლებიც დასავლეთ გერმანიას წარუდგინეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ხელმძღვანელებმა და „ამერიკის სამხედრო სარდლობამ პარიზსა და სხვა ადგილებში“!

მაგრამ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგენი არ სჯერდებიან ვერმახტის აღორძინების დაჩქარებას. ნაკლებ ენერგიულად როდი ზრუნავენ ისინი გამალებული შეიარაღების გაძლიერებისათვის დასავლეთის სხვა ქვეყნებში. ცდილობს რა ამის მიღწევას, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი გიფუტერი იქამდე მივიდა, რომ ირწმუნება, თითქოს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში 800 ათასზე მეტი კაცის დემობილიზაცია „არ ამცირებს ამ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს“. გრიუნტერს ბანს აძლევს ინგლისელი გენერალი უალტერი, რომელიც მეთაურობს ინგლისის სამხედრო მისიას ვაშინგტონში. იგი ცდილობს აიორძინოს ზღაპარი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და ამტკიცებს, რომ „საბჭოთა სამხედრო მუქარა დასავლეთისადმი ახლა უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე იყო“.

მაგრამ არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ დასავლეთის მოღვაწეთა ასეთი გამოსვლები ნაკარნახევია მათი შიშით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინაშე შეშფოთებეთ როდი იყო, რომ ინგლისის სამხედრო კომენტატორმა ადმირალ„ ნიკოლმა ამ დღეებში სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ „ჟენევის სულისკვეთების“ ახალი საბჭოთა პოლიტიკა ძალიან ბევრს მიმზიდველად ეჩვენება“, და ამტკიცებდა, რომ „ოთხი მთავრობის მეთაურთა ჟენევის თათბირის შემდეგ საერთაშორისო ატმოსფეროს შეცვლა წარმოშობს მთელ რიგ საშიშ მოვლენებს“. ამ „საშიშ მდგომარეობიდან“ ერთადერთი გამოსავალი, ნიკოლის აზრით, შეიძლება იყოს ახალი „შეიარაღების გაძლიერება“ დასავლეთში და ბრძოლა „ჟენევის სულისკვეთების“ წინააღმდეგ.

ამგვარი გამოსვლები, ისევე როგორც „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეთა პრაქტიკული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ აშფოთებდნენ უბრალო ადამიანებს, რომლებიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან ჟენევის მომავალი შეხვედრის წარმატებით და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებით. ამერიკის შეერთებული შტატების ლითონის მადნეულის მრეწველობის მაღაროელთა და მრეწველთა დამოუკიდებელი პროფკავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამას წინათ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პრეზიდენტს აცნობებს „საერთაშორისო ვითარების გამწვავების ტენდენციების“ წინააღმდეგ და ითხოვს, რომ „ჟენევის ახალი თათბირის შედეგად მიღწეულ იქნება ურთიერთ ხელსაყრელი მოწყობა-რიგება... რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას საერთაშორისო ვაჭრობასთან და სრულ დასაქმებასთან ერთად“.

ოგივე სურთ ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანებს, რომლებიც რაზმავენ თავიანთ ძალებს, რათა არ დაუშვან „ცივი ომის“ განახლება.

კონფერენციები ბონრნემუტსა და მარგეტში

ოქტომბრის პირველ ნახევარში ინგლისში ერთმანეთის შემდეგ გაიმართა ორი ძირითადი პარტიის ყოველწლიური კონფერენციები — კონსერვატიული პარტიისა ბორნემუტში და ლეიბორისტული პარტიისა მარგეტში. ორივე კონფერენცია მიმდინარეობდა ინგლისისათვის მეტად თავისებურ ვაშინგა და საგარეო ვითარებაში.

მიუხედავად სამრეწველო პროდუქციის ზრდისა და ექსპორტის სასაქონლო მოცულობის გადიდებისა, ინგლისი განიცდის სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა იდენმა ბორნემუტში ფარმოთქმულ სიტყვაში დაახასიათა როგორც „ეროსალური“. საქმე ის არის, რომ, როგორც ამას აღნიშნავს ინგლისის მთავრობა, ეკონომიურ მიმოხილვაში, „ინგლისის პროდუქციის გამოშვების გადიდებას მეტი ნაწილი ომისშემდგომ წლებში მოხმარდა ჯერ რეკონსტრუქციის საჭიროებათა დაკმაყოფილებას, ხოლო უფრო გვიან — ხელახლა შეიარაღებას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინგლისის ეკონომიკას ძირს უთხრის უზომო სამხედრო ხარჯები. მეორე მხრივ, სულ უფრო უარყოფით გავლენას ახდენს ინგლისის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის გადიდება, რამაც გამოიწვია ოქროსა და ვალუტის მარაგის დიდი შემცირება, აგრეთვე ინფლაციის ტენდენციები. მზარდ სიძნელეებს განიცდის ინგლისი საგარეო ბაზრებზე: გამალებულმა შეიარაღებამ შეამცირა ინგლისის საექსპორტო შესაძლებლობანი, ამან კი შეამცირა მისი კონკურენციის უნარი ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიათა ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა მოახდინა მუშათა კლასის ცხოვრების დონეზე, მუშათა კლასისა, რომელიც ინგლისის 50 მილიონიანი მოსახლეობის თითქმის ორ

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიელი ჟურნალისტები

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიელი ჟურნალისტების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ ავსტრიის გაზეთების მთავარი რედაქტორები — „ვინერ ცაიტუნგისა“ — დოქტორი ფრანც შტამპრეხი, „დას კლაინე ფოლკსბლატისა“ — დოქტორი ფრანც გრესელი, „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმესი“ — ერვინ ცუკერშილინგი, გაზეთ „ნოიე ვინერ ტაგესცაიტუნგის“ რედაქტორი ჰენრიხ შრამი, გაზეთ „დი პრესეს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე დოქტორი ოტო შულმაისტერი და გაზეთ „ნოიეს ესტერრაიხის“ საერთაშორისო განყოფილების რედაქტორი დოქტორი ოტო ფრიც ბეერი.

ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ავსტრიელ ჟურნალისტებთან. საუბრის დროს უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც მათ დააყენეს და რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობას, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობას. (საკდესი).

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ბირმელი ჟურნალისტები

საბჭოთა კავშირის დელეგაციის საგენტო მოწვევით 22 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა თვალსაჩინო ბირმელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომლებიც ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან ერთად გაეცნობიან მოსკოვს და ეწვევიან საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან: უ ხლა ჯი — გაზეთ „მანდალინგის“ მთავარი რედაქტორი, ე პე ტინი — გაზეთ „ნიუ ტაიმს ოფ ბირმის“ მთავარი რედაქტორი, უ ლო ონი — გაზეთ „ნეიშნის“ მთავარი რედაქტორი, უ იე მაუნგი — გაზეთ „რანგუნ დეილის“ მთავარი რედაქტორი, უ სეინი — გაზეთ „ჰანტავადის“ მთავარი რედაქტორი, უ ტაუნგ ნიუნტი — გაზეთ „ნიუ ლაიფ ოფ ბირმის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საკდესისა და ცენტრალური გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

ოსტრავა, 21 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია განაგრძობდა ოსტრავის გაცნობას. ქალაქში მოგზაურობის დროს დელეგაციას ახლდნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი და ოსტრავის სოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

შუადღემდე საპარლამენტო დელეგაციის წევრები იყვნენ ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — კლემენტ გოტვალდის სახელობის ახალი მეტალურგიული კომბინატის საამქროებში. კომბინატის დირექტორმა რუდოლფ პოლანსკიმ დელეგაციის წევრებს გააცნო კომბინატის ისტორია და მისი მუშაობა. შემდეგ საბჭოთა ხალხის წარგზავნილნი ესაუბრნენ კომბინატის მოწინავე ადამიანებს — მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც უამბეს თათ თავიანთი საწარმოო წარმატებანი და ის, თუ რა დიდ მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას უწევენ საბჭოთა სპეციალისტები და ნოვატორები კოლექტივს კომბინატის მშენებლობის დაწყებიდან.

კოლექტივის სახელით კომბინატის დირექტორმა დელეგაციას მიართვა მუშა მხატვრის ნახატი, რომელიც გამოსახავს კომბინატს, და საამქროებში ჩამოსახული მებრძმედის ფიგურა.

დელეგაციის წევრმა მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობმა ა. კ. ტარასოვამ რამდენიმე საათი გაატარა სოლქო დრამატული თეატრის მსახიობთა კოლექტივში. მან ნახა პიესის „ჰოფმანის ზღაპრების“ რეპეტიცია, მეგობრულად ესაუბრა მსახიობებს.

ნაშუადღევს საპარლამენტო დელეგაციის წევრები ეწვივნენ მუშათა დაბა „პორუბას“, რომელიც შენდება ქალაქის განაპირა უბანში, სადაც ცხოვრობენ ოსტატების მაღაროელები, მეტალურგები და მანქანათმშენებლები. დელეგაციის წევრები დაწვრილებით გაეცნენ დიბის კეთილმოწყობას, იყვნენ მუშების ცალკეულ ბინებში, ესაუბრნენ იქ მცხოვრებთ.

დელეგაციის წევრები დღეს საღამოს პრაღას გაემგზავრნენ.

გაიხსნა დანიის კომპარტიის მე-18 ყრილობა

კოპენჰაგენი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კოპენჰაგენში საზეიმო ვითარებაში დაიწყო მუშაობა დანიის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობამ. ყრილობას ესწრებიან ყრილობის 500 დელეგატი და სტუმრები პოლონეთიდან, ესპანეთიდან, კანადიდან, დასავლეთ გერმანიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიდან, ნორვეგიიდან, ფინეთიდან, ბელგიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და ისლანდიიდან.

ყრილობის დელეგატებისა და მოძმე კომპარტიების წარმომადგენლებისადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ აქსელ ლარსენმა. მისი წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ი. ბ. სტალინის, კ. გოტვალდისა და დანიის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის მარტინ ანდერსენ-ნექსეს ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა დანიის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში ნათქვამია:

დანიის კომუნისტური პარტიის მეთვრამეტე ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის დანიის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს დანიის კომუნისტურ პარტიას წარმატებებს მის ბრძოლაში ბიბლიოთეკა ... ...